სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

03/08/2026

MES 5 26 0001009444

2026-2027 სასწავლო წლის პირველი (საშემოდგომო) სემესტრისათვის ,,ქართულ ენაში მომზადების“ პროგრამის კურსდამთავრებულთა სტუ-ის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაციის ვადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 თებერვლის N55 დადგენილების, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2026 წლის 18 ივნისის MES 8 26 0000753947 წერილისა და სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 21 ივლისის 01-05-04/93 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2026-2027 სასწავლო წლის პირველი სემესტრში, ,,ქართულ ენაში მომზადების” საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა სტუ-ის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებით განისაზღვროს შემდგეგი ვადები:
   - სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ,,ქართულ ენაში მომზადების” საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა სტუ-ში რეგისტრაცია იწარმოებს 2026 წლის 1 სექტემბრიდან 10 სექტემბრის ჩათვლით; (შაბათ-კვირის

გარდა). რეგისტრაციისათვის წარმოსადგენი საბუთები (დანართი 1) მიიღება 10^{00} სთ-დან - 16^{00} სთ-მდე; (მისამართი: თბილისი; კოსტავას 77; ადმინისტრციული კორპუსი; მე-3 სართული; ოთახი 334);

- სტუ-ის ,,ქართულ ენაში მომზადების“ პროგრამის კურსდამთავრებულთა რეგისტრაცია იწარმოებს 2026 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით;

3. ,,ქართულ ენაში მომზადების” საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა სტუ-ის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხ პირთა შესახებ სტუ-ის რექტორის ბრძანება გამოიცეს არა უგვიანეს 2026 წლის 1 ოქტომბრისა;
4. ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს სტუ-ის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსს ზ. ბუაჩიძეს;
5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე–რექტორს თ. წერეთელს;
6. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
8. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებამ;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

ვიცე-რექტორი
თამარ წერეთელი